№ 107
შაბათი, 23 მაისი, 1898 წ.

1877 — 1898

# ივერია

№ 107
შაბათი, 23 მაისი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## საქველ-მოქმედო ბაზარი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულია 24 და 25 მაისს

თავად-აზნაურობის (არწრუნისეულს) ქარვასლის ბაღში.

ვაჭრობა დაიწყება დილის 10-ს საათზე და გათავდება საღამოს 10 საათზე.

ვაჭრობის დროს დაუკრავს მუსიკა.

ბაზრობის დროს იქმნება:

1) სალიტერატურო ნაწილი, რომელიც შეიცავს ჩვენის მწერლების ყოველ გვარ ნაწერებსა და აგრეთვე ყველა ჩვენის მწერლების სურათებს.
2) გაიყიდება მშვენიერი სხვა-და-სხვა ხელთ საქმე.
3) დადგმულ იქმნება ბედის კალათა, საიდგანაც ფასით ყველას თითო საუცხოო ნივთი მიეცემა.
4) მოკითხვის წერილი საჩუქრით, ფასი თითო მანათი;
5) ბავშვებისათვის სროლა მიზანში საჩუქრით.

ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირს 20 კ. (უ.)

## მეაგარკეთა საყურადღებოდ

**ქ. თელავში** ნადიკვარზედ მთელის ზაფხულის განმავლობაში (7 ს თიბათვიდგან 1-ს ენკენისთვემდის) **გაიცემა ქირით** სამი ოთახი, დიდის ბალკონით, სამზარეულოთი, საკუთარის ეზოთი, პატარა ხეხილიანის ბაღჩით, რომელშიაც არის წმინდა წყლიანი ჭა პირსაბანითა; მიეცემა სამზარეულო ავეჯეულობა, ქვაბებით, საგარაკოდ საკმარისი სახლის ავეჯი და ჭურჭელი.

მსურველთ მიჰმართონ ამ ადრესით: Въ Телавъ, И. Зарапишвили.
(15—უ.—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** 10½—11½ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** — დილის 11½—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. შ. კარაშეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

სალამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.** — 5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ბ. ა. ნავასარდიანი** — 6½—7 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი** — 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო** — სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову
(წ)

ქართული წარმოდგენა
საზაფხულო თეატრ „**ერმიტაჟ**"-ში.
**კვირას, 24 მაისს,**
ქართული თეატრის აქტიორებისაგან წარმოდგენილი იქმნება

I

### დედა და შვილი

დრამატიული ეპიზოდი ერთ სურათად, თხ. თავ. **ი. გ. ჭავჭავაძისა.**

სხვათა შორის ქართული ხორო შეასრულებს
„**ქართველო ხელი ხმალს იკარ**"

II

### ხანუმა

4 მოქმ. თხზ. ა. ცაგარლისა.

დასასრულ **ლეკური**

ადგილების ფასი 20 კაპეიკიდამ 1 მ. 60 კაპეიკამდე.

დასაწყისი სწორედ 8½ საათზედ.

### ექიმი
### კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(10—6.—9)

### ვკისრულობ

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველირებას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნექკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.
**ტელეფონი** № 56.
(50—80—19).

### მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრი კოლბასინი—ბაქოს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ.

გამწესებულ იქმნენ: პოლიეკტო გონაძე—ლანჩხუთის საფოსტო განყოფილების ფოსტალიონად; რომან ბარამიძე—კარაკლისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად; გიორგი მირიანაშვილი—ბორჯომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-VI ხარისხის მოხელედ.

დანიშნულ იქმნენ: სამტრედიის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი, ტიტულიარნი სოვეტნიკი ქორქაშვილი—აბაშის საფოსტო განყოფილების უფროსად და აბაშის საფოსტო განყოფილების უფროსი, ტიტულიარნი სოვეტნიკი აქსენტი ბაბილუა—სამტრედიის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

დათხოვნილ იქმნა: კარაკლისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი თეიმურაზ ტორია.

## ახალი ამბავი

*** მკითხველებს ვაუწყებთ ზოგიერთ საყურადღებო ცნობებს გზათა მინისტრის თავ. ხილკოვის მიერ მიხეილის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის დათვალიერების შესახებ.

ბ-ნმა გზათა მინისტრმა დიდხანს დაჰყო სასწავლებელში და დიდის ყურადღებით დაათვალიერა კლასები, სახელოსნო, მოსწავლეთა ნახატ-ნახაზები და სხვა საგნები დამზადებული დურგლობის, მჭედლობისა და ხარატობის მოსწავლეთაგან. ბ-ნი მინისტრი კმაყოფილი დარჩა და დიდად მოიწონა მოსწავლეთა ხატვა-ხაზვის რვეულები. მოეწონა აგრედვე ახლად აგებული სადგური მოსწავლეთა საცხოვრებლად, დაიარა თავისს ფეხით და დაათვალიერა ყველა ოთახები.

სასწავლებლის უფროსმა ბ-ნმა რადიმსკიმ სხვათა შორის მინისტრს მოახსენა იმის შესახებ, რომ მუდამ წელს იძულებულნი ვართ მრავალს სატეხნიკო სწავლა-ცოდნის მიღების მსურველს უარი უთხრათ უადგილობისა გამოო. მაგალითად, წელს სარკინისგზო სასწავლებელში სწავლას ათავებს 40 მოსწავლე და პირველ კლასში-კი მხოლოდ 30 კაცი უნდა მივიღოთ. ასე რომ, ყველამ რომ კარგად გარდაიხადოს სამეტოქეო ეგზამენი, მაინც 10 კაცს უნდა ვუთხრათ უარი. რკინის გზის მოსწავლეთა გარდა, სამეტოქეო ეგზამენის გარდახდის სურვილს აცხადებს მრავალი მოსწავლე საქალაქო სასწავლებლებისა, გიმნაზიებისა და სხვათა, რომელთაც სატეხნიკო სასწავლებელში შემოსვლის ნება აქვთ.

მინისტრმა დიდის თანაგრძნობით მოისმინა ეს მოხსენება და მასვე მი-

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

თუ ცოლს ლაჩარად ექცევი,
დაგიწყებს ბატონობასა,
ჩალადაც აღარ ჩაგაგდებს,
მოჰყვება კაპასობასა,
თავზედ პანტასებრ დაგაყრის
დღე და ღამ კიცხვა-ჯმობასა,
სულ დაგავიწყებს ერთიან
აღდგომასა და შობასა!..

დ. მაჩხანელი

### ამბოხება იტალიაში

(საკუთარის კორესპოდენტისაგან)

დეპეშები და გაზეთები, ეჭვი არ არის, უკვე მოიტანდნენ ამბავს იტალიაში უეცრად მომხდარ ამბოხების შესახებ. მთელი პოლიტიკური ქვეყანა გაკვირვებული და განცვიფრებული დარჩა, ისე მოულოდნელი, უეცარი და ძლიერი იყო ეს მოძრაობა. ყველა თავს იმტვრევდა და სცდილობდა გაეგო, რა მიზეზებმა გამოიწვია ეს არეულობა, რამ აამხედრა და აალაპარაკა ეს აუარებელი ხალხიო. ზეცმა პოლიტიკოსებმა ხელად, დაუფიქრებლივ მორთეს ყვირილი, რომ ეს არეულობა და ამბოხება სოციალისტების, რევოლიუციონერების და ანარქისტების საქმეაო.

უცნაური ხალხია, ვინც ამას გაიძახის! ისინი არც-კი ჰგრძნობენ, რა დიდს ძალას აძლევენ თავს სოციალისტებს, რევოლიუციონერებსა და ანარქისტებს. როგორ მოახერხა ამ უკიდურესის მიმართულების დასმა, რომელსაც ჯერ ისევ გუშინ იმდენად უმნიშვნელოდ სთვლიდნენ, რომ სასაცილოდ იგდებდნენ კიდეც და მხოლოდ რამდენიმე დეპუტატი ჰყავს პარლამენტში, იმ მივარდნილ და მიყრუებულ სოფლების დედაკაცებისა, ბავშვებისა და მოხუცებულების ბრბოთა ამბოხება, რომლის მცხოვრებლებიც გაუნათლებლობითა და სიბნელით ოსმალეთისა და ეგვიპტეს გლეხებს არ ჩამოუვარდებიან? მთავრობის შეშინებულ მეგობრებს ნახტომი შეეშალათ, ნამდვილი მიზეზი ამბოხებისა ვერ გაიგეს და ამ შიშისა გამო მზად არიან გააძლიერონ და გაადიდონ იმ უკიდურეს მიმართულების კაცთა დასები, რომელთა ძალა და გავლენა ქალაქის მცხოვრებელთა ასაჯანყებლადაც არ არის საკმარისი.

ამ არეულობის მიზეზი და სათავე არის ქვეყნის ეკონომიური უძლურება, გაკოტრება, უკიდურესი სიღარიბე და შიმშილობა.

ხოლო შიმშილობა და გაღატაკება მთელის ქვეყნისა შედეგია როგორც მოუსავლობისა და ფიზიკურ უბედურებისა, აგრეთვე საფინანსო პოლიტიკისა შინაურ ცხოვრებაში და უფრო-კი საგარეო პოლიტიკისა. ყველაზედ უფრო მდიდარ და ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებულ პროვინციების ტოსკანიისა და სიცილიის მცხოვრებელნი, იმ პროვინციების მცხოვრებელნი, რომელნიც ამ საუკუნის დასაწყისში აღწერა ს. სისმონდიმ და იმათ ქვეყანას აღყვავებული ბაღი უწოდა, დღეს იკვებებიან მინდვრის ბალახისაგან მომზადებულის საჭმელითა და მოხარშულის სიმინდით, რომელსაც სანახევროდ იგივე ბალახი აქვს გარეული...

გლეხკაცი იძულებულია, ყველაფერს, რასაც ამზადებს და რაც-კი მოჰყავს: აბრეშუმი, თამბაქო, ზეთისხილი, ფორთოხალი, ლიმონი, ღვინო, პური, სიმინდი და მრავალი სხვა, დაუყოვნებლივ უშოვნოს მუშტარი და ხშირად მოსავლის მოკრებამდეც-კი გაჰყიდოს, რომ გარდასახადი შეიტანოს. რადგან გლეხი ვალდებულია დადებულ ვადაზედ უეჭველად გაჰყიდოს თავისი ნაწარმოები, ამ ნაწარმოებს ბაზარში სრულიად ეკარგება ფასი. ხილი და ღვინო, რომლის გემოსაც გლეხები კვრასოდეს ვერ გაიგებენ, ინგლისსა და საფრანგეთში მიაქვთ. მკითხველმა რომ გაზვიადება არ დამწამოს, აქ აღვნიშნავ იმას, თუ ლონდონის ბაზარში რა ფასად იყიდება იტალიის ნაწარმოები.

იტალიის გლეხ-კაცების მიერ მოყვანილი ღვინო ნარდად ლონდონში იყიდება თუნგი ერთ შილინგად (შილინგი 31 კაპ., ოქროთი); ერთ შილინგადვე იყიდება 125 მესსინის ფორთოხალი, იტალიის თამბაქოს, ზეთის-ხილს, ზეთს და სხვას სამჯერ ნაკლები ფასი აქვს, ვიდრე საფრანგეთის თამბაქოს, ზეთის-ხილს და სხვას. აბა იფიქრე, მკითხველო, თუ ლონდონში ასე მცირე ფასი აქვს იტალიის ნაწარმოებს, რა უნდა აიღოს იტალიელმა გლეხმა-კაცმა ადგილობრივ მყიდველისა ჴ ვაჭრისაგან?! იგი იძულებულია, რა ფასიც უნდა შეაძლიონ, ვადაზედ გაჰყიდოს მთელის წლის ნაღვაწ-ნაშრომი!.. იმის მშვენიერი სამშობლო, გაერთიანდა რა, დიდ სახელმწიფოდ გარდაიქცა. ამ სახელმწიფოსთვის საჭიროა შესაფერი ხარჯიც. წლიური ხარჯთ-აღრიცხვა იტალიისა, რომლის მცხოვრებთა რიცხვიც 30 მი-

ანდო პროექტისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა ამ სასწავლებლის გაფართოების შესახებ, რომელიც დასამტკიცებლად მასვე უნდა გაეგზავნოს მიმდინარე წელს.

გამოთხოვების დროს მინისტრმა მადლობა გარდაუხადა მასწავლებელთ საქმის კარგა წარმოებისათვის და სთქვა, რომ ამ ჟამად საერთოდ ყველა სატეხნიკო სასწავლებელში და კერძოდ ტფილისისაში ისე კარგადაა სწავლის საქმე დაყენებული, რომ შესაძლებლადა ვცნობ ამ სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთ ორის წლის პრაქტიკის შემდეგ ეგზამენის გარდახდის უფლება მივცე გზათა უწყების სამინისტროს ტეხნიკოსთა წოდების მისაღებად ისევე, როგორც ამისი ნება აქვთ რეალურ და სხვა საშუალო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთაო.

*** გზათა მინისტრმა თავ. მ. ი. ხილკოვმა ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტის მთავრობის შუამდგომლობისამებრ ნება დართო ამიერ-კავკასიის რკინის გზით ტფილისიდგან ბორჯომს უფასოდ წაიყვ-წამოიყვანონ ხსენებულ ინსტიტუტის მოსწავლენი მასწავლებელთა თანამგზავრობით, რიცხვით 65. მოსწავლენი წავლენ ტფილისიდგან ბორჯომს 28 მაისს და ბორჯომში დარჩებიან ორის დღეს. ამას გარდა, გზათა მინისტრმა ნება დართო ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს უფასოდ გადასცეს 60 ცალი ძველი რელსი ქუთაისის უფასო სასწავლებელს საკუთარ შენობის ასაგებად.

*** 19 მაისს საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს თავმჯდომარეობით კრება ჰქონდა შრომის მოყვარეთა სახლის სამზრუნველოს სამმართველოს. კრებამ დაადგინა მომავალ შემოდგომას დააარსოს ქ. ტფილისში სახელოსნო ორის განყოფილებით — ქალებისა და ვაჟებისათვის და მსურველთ სახლშიაც აძლიოს ხოლმე სამუშაო. ამავე კრებამ მოილაპარაკა კავკასიაში შინა-მრეწველობით დამზადებულ საგნების გამოფენის გამართვის შესახებ და დაადგინა გამოფენა გაჰმართოს სექტემბრის პირველ რიცხვებში კავკასიის სამხედრო-საისტორიო მუზეუმში. ამ გამოფენის გასამართავად დაარსებულ იქმნა განსაკუთრებული კომისია, რომლის წევრებადაც აირჩია კრებამ ე. ფ. ვურცელისა (კომისიის თავმჯდომარედ), ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, ვიცე-გუბერნატორი კ. კ. სტეფანოვიჩი, მიწათ-მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის თანაშემწე თ. ა. შიმანოვსკი, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკი, სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ვ. ნ. გეევსკი, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივანი ე. ო. იოსელიანი და სხვა. ამ დღეებში კრება ექმნება კომისიას გამოფენის პროგრამის შესამუშავებლად.

*** საბჭოს სასწავლებელთა კომისიამ 21 მაისს დაადგინა ვ. გ. ბელინსკის გარდაცვალების დღიდგან 50 წლის შესრულების გამო გარდაიხადოს 26 მაისს ნაშუადღევს 1 საათზედ, საბჭოს დარბაზში, პანაშვიდი და ამ პანაშვიდზედ მოიწვიოს, ადგილობრივი ადმინისტრაცია, ხმოსნები, ქალაქის თვით-მმართველობის ყველა მოსამსახურენი და ქალაქის სკოლის გამგენი და მასწავლებელნი.

*** 22 მაისს, ნაშუადღევს 1 საათზედ, ყარსის რკინის გზაზედ, როდესაც მუშათა მატარებელი ნავთლუღს მიუახლოვდა, ლიანდაგიდგან გადავარდა ორთქლ-მავალი და 11 ვაგონი სულ ერთიან დაიმტვრა. ამ უბედურების დროს ერთი კაცი გარდაიცვალა, ოთხი მძიმედ დაიჭრა და ბთიც სუბუქად. დაჭრილნი ტფილისში ჩამოიყვანეს და რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ამ უბედურების მიზეზი ისა ყოფილა, რომ ძირს დაგებული ლიანდაგის რკინები იქით-აქეთ გაწეულა, მატარებელი ველარ დამდგარა ზედ და გადმოვარდნილა.

*** ქალაქის საბჭოს მიერ ახლად დაარსებულ ქალაქის ვექილის თანაშემწის თანამდებობის მიღების სურვილი, რომელსაც წელიწადში 960 მან. ჯამაგირი ექმნება, თხუთმეტმა კაცმა განაცხადა, რომელთაგან 13 კაცს უმაღლესი იურიდიული სწავლა აქვს მიღებული. ქალაქის მოურავმა თანაშემწის არჩევის უფლება მისცა ქალაქის ვექილს, რომელსაც გადაეცა ყველა თხოვნა.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ ქუთაისის სამაზრო სამხედრო უფროსად დანიშნულ იქმნა პოლკოვნიკი შებუევი და გორის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ ცხინვალის საგამომძიებლო ნაწილის გამგე ზიათხანოვიო.

*** თუ რამდენად საშიშია ტელეფონით ლაპარაკი ჭექა-ქუხილის დროს, ცხადადა სჩანს გაზ. „Воронеж. Телег.“-ში დასტამბულ ცნობით, რომ 4 მაისს დებალცევოს სადგურის უფროსმა ჭექა-ქუხილის დროს ლაპარაკი დაუწყო სადგურის მახლობელ სადარაჯოში დარაჯს და ისე ძლიერ დაშავდა, რომ აღარ შეეძლო ლაპარაკი და აღარც კარგად ესმოდა რამეო.

*** ს. საგარეჯო. ს. საგარეჯოში უბედურება დატრიალდა. სამი სოფელი: საგარეჯო, გიორგიწმინდა და ნინოწმინდა დღემდის საერთო მინდორს იყოფდნენ; რისთვისაც გაიყვანეს მიწის მზომელი უთნელიშვილი, მაგრამ უკანასკნელის გაყოფაზედ ვერ შეჰთანხმდნენ და გიორგიწმინდელებმა უარ ჰყვეს. გარეჯელებს ხელმძღვანელობდა ბ-ნი ლ. აღნიაშვილი, რომელიც არწმუნებდა გარეჯელებს, რომ უთნელიშვილის გაყოფა სრულიად დამთავრებულია და კანონიერია და გიორგი-წმინდელებს ნულარ გაატარებთ მინდორშიო. ამის გამო ამ დღეებში მოხდა დიდი ჩხუბი. მთელი სოფელი საგარეჯო გავიდა მინდორში შეიარაღებული თოფებით და კომბლებით გიორგიწმინდელების გასარეკად. ჩხუბში გარეჯელებმა მოჰკლეს ერთი კაცი და რამდენიმე მძიმედ დასჭრეს *).

*** სოფ. ჭაგანი, (ქუთაისის მაზრა). 17 მაისს ღამე ვიღაც ბოროტ-მოქმედნი გადაძვრნენ ოქონის ეკკლესიაში ფანჯრიდგან. ფანჯარას რკინის ხარიხები ჰქონდა და ბოროტ-მოქმედთ ზოგი გამოუმტვრევიათ და ზოგიც გადაუზნექიათ, მაგრამ მაინც კაცი ვერ გადაძვრებოდა და ბოროტ-მოქმედთ ალბად ყმაწვილი თუ გადასვეს და გააღებინეს ეკკლესიის კარები. ბოროტ-მოქმედნი შესულან თუ არა ეკკლესიაში, გაუტეხნიათ სკივრი და ამოუღიათ ფულიანი ყუთი. წაუღიათ მეორე ფულით სავსე ყუთიც და თუმცა სკივრში ხელსახოცში გახვეული ფული დებულა, მაგრამ ვერ შეუმჩნევიათ. ეს ამბავი გაიგეს 18 მაისს და ხევის თავებმაც გაჩხრიკეს 2—3 საეჭვო კაცის სახლი, მაგრამ ვერა იპოვეს-რა. 19 მაისს დილით მნათემ ეკკლესიაში ხელსახოცი იპოვა და ყველას ეკითხებოდა, შენი ხომ არ არის ხელსახოცი, ვიპოვეო. 14 წლის ყმაწვილმა ხ—მ განაცხადა, რომ ეგ ხელსახოცი ჩემიაო. ყმაწვილი და იმის მამა მაშინვე სასოფლო სამმართველოსაკენ გაამგზავრეს, მაგრამ მამა გზაზედ მიხვდა რაშიც იყო საქმე, დაბრუნდა სახლში, თან წაიღო სხვა ხელსახოცი და სოფლის მოხელეთ დაუწყო იმის დამტკიცება, რომ ბავშვს ხელსახოცი სახლში დარჩა და ეკკლესიაში ნაპოვნი არ არის ჩემი შვილისაო. („ახ. მიმოხ.“).

*** ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს სამკურნალო განყოფილების მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, რომ გორის მაზრის სოფ. ზემო-ნიქოზში გავრცელებულა სახადით ავადმყოფობა. ამ სენით ერთის ოჯახში 8 სული გამხდარა ავად და ოთხი უკვე გარდაცვლილა.

*** ქ. ოზურგეთი. კარგი იქმნება, ჩვენის ქალაქის თვით-მმართველობამ ყურადღება მიაქციოს ნატანების ქუჩას და გვაკმაროს ამდენი ხნის წვალება ამ ქუჩის მცხოვრებთ, რადგან მეტის-მეტის სიბნელისა გამო მეზობელთანაც კი ვერ მივსულვართ. ნეტა როდემდის უნდა იყოს ეს ქუჩა უფარნებოდ?!..

*** 11 ივნისს დამთავრდება ტფილისის დედათა წმ. ნინოს სასწავლებლის მოსწავლეთა გამოცდა. საზაფხულოდ ამ სასწავლებლის მოსწავლეთ წაიყვანენ კოჯორში.

*** 2 ივნისს ტფილისის იუნკერთა სასწავლებლის მოსწავლეთ ამ საზაფხულოდ წაიყვანენ დ. სურამს.

*** ტელეგრაფის მოხელის ცოლმა მარიამ კ—სამ განაცხადა პოლიციაში, რომ ივანოვის კასსაში, რომელიც პუშკინის ქუჩაზეა, დავაგირავე ოქროს ძეწკვი მედალიონით, ორჯელ სარგებელი წარვუდგინე და როდესაც ჩემის ნივთის დასახსნელად მივედი, გამომიცხადა, რომ ნივთი დაიკარგაო. პოლიციამ ოქმი შეუყენა ივანოვს და ეს ოქმი პოლიცმეისტერის განკარგულებით სასამართლოს გარდაეცა.

*** პოლიციამ აღმოაჩინა, რომ გოგილოს აბანოს მახლობლად მტკვარში 19 მაისს დამრჩვალი ყმაწვილი ტფილისის მაზრის სოფ. უჯარმის გლეხის შვილი 13 წლის ევგენი იარალოვი ყოფილა.

## შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამართ ბაზრობას შემოსწირეს: ნინო ალექსანდრეს ასულმა ჟღენტისამ — ნაკერი ბალიში; სოფიო ვასილის ასულმა ამირაჯიბისამ — ოთხი ნაქერი ნივთი; კლავდია ვასილის ასულმა სერებრიაკოვისამ — შვიდი ნაქერი ნივთი; კნ. ელისაბედ გრიგოლის ასულმა სიდამონ-ერისთავისამ — თორმეტი ნივთი; დარია ალექსანდრეს ასულმა კნ. ჩერქეზიშვილისამ — ნახევარ დუჟინი აბრეშუმის ნაკერი ცხვირსახოცი; დარია ალექსანდრეს ასულმა ჯორჯაძისამ — ორი ნივთი; ადამ და ვასილ ბერელაშვილებმა — ოცი ბოთლი ღვინო; გრიგოლ ელიზბარიშვილმა — ექვსი ნივთი; სოფიო მიხეილის ასულმა სულხანიშვილისამ — ხელოვნურად ნაკერი ბალიშზედ გადასაფარებელი; ნინო მიხეილის ასულმა ნატროშვილისამ — ორი პირსახოცი; კნ. ალექსანდრა ნიკოლოოზის ასულმა ანდრონიკაშვილისამ — ათი ბოთლი ღვინო; მარიამ მამაცაშვილისამ — ოქროს საყურე, გულის ქინძისთავი და აბრეშუმის ხელსახოცი; იოსებ იმედაშვილმა — ხუთ-ხუთი ცალი ტფილელის „დიდ-მოურავიანისა“, ევდოშვილის „ლექსების და პოემებისა“, მახარაძის „ხალხურის პოეზიისა“, ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონისა“ და გ—ს „რა არის ხარკისა“.

## წერილი დუშეთიდგან

უსიცოცხლოდ მიმდინარეობს ჩვენი პროვინციის ცხოვრება. ის, რაც სხვა პროვინციებში ხალხს უპირველესს მოვალეობად გადაჰქცევია და თავისის გონების განსავითარებლად და ქონებრივ უზრუნველ-მყოფელობისათვის ჰზრუნავს მთელის თავისის ძალ-ღონით, აქ სრულიად ვერ ჰნახავთ. აქ სულ სხვა სურათია, აქ სულ სხვა ნაირადა სცემს მცხოვრებთა მაჯა. აქ ერთის მხრივ დარბაისელი, უზრუნველი ქართველი დინჯად,

---

ლიონია, 1,800 მილიონს შეადგენს. თითო ოჯახში რომ 4 სული ვიანგარიშოთ, აღმოჩნდება, რომ ორთა შუა რიცხვით თითო ოჯახი წელიწადში სახელმწიფოს სასარგებლოდ 240 ფრანკს იხდის, მაგრამ ნაწარმოების სიაფისა გამო გლეხი-კაცი მიწის დამუშავებით აიღებს სულ 100—150 ფრანკს, ხოლო დანარჩენი გარეთ უნდა გავიდეს და იქ მოიპოვოს.

ახლა იმას აღარ იკითხავთ, გარეთ გასული კაცი რას დაიმუშავებს და რას აიღებს დღეში? ქ-ნის ვაიტ მარიოს *), პროფ. E. Ferri-სა, Colojani-სა, Umilta-სა, S. Merlino-ს და სხვათა მოწმობით სამუშაოს ფასი მეტად მცირე, თითქმის მათხოვრულია. Merlino-ს თავისს წიგნში „ეხლანდელი იტალია“-ში ჩამოთვლილი აქვს ოფიციალური ცნობები, რომელნიც კაცს გააოცებენ. სიცილიასა, კალაბრიასა, რომანიასა, ლომბარდიასა და სხვაგან მოზრდილი გლეხი დღეში ორთა შუა რიცხვით 30—40 კაპეიკზედ მეტს ვერ აიღებს, დედა-კაცი — 20—25 კაპ. მეტს, ხოლო 15—20 წლის მოზარდი 15—20 კაპ. მეტს. უკანასკნელ წლებში მუშაობის ფასმა უფრო დაიწია, ხოლო პურის ფასმა საკვირვლად აიწია. წარსულის წლის ნოემბერს ბევრს პროვინციაში $2^1/_2$ გირვანქა პური ღირდა იმის ნახევარი, რასაც კაცი დღეში აიღებს. მიმდინარე წლის თებერვალს რომანიაში ერთი კილოგრამა პურის ფასმა 55 სანტინამდე აიწია მაშინ, როდესაც დედაკაცი ერთის დღის მუშაობაში იღებს მხოლოდ 70—75 სანტიმს. მაშასადამე, სადგომისა და სხვა საჭიროებისათვის დარჩებოდა 15 ან 20 სანტიმი, ე. ი. 4—5 კაპეიკი.

როგორ უნდა იცხოვროს და გამოიკვებოს თავი კაცმა ასეთს გარემოებაში? კიდევ კარგი, თუ სამუშაო იშოვნა, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს სამუშაო მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. მთელი ქვეყანა სავსეა მშიერ-მწყურვალ, ულუკმა-პუროდ დარჩენილ გლეხ-კაცთა ბრბოებით, რომელნიც ქუჩა-ქუჩა დადიან და პურსა თხოულობენ; ბევრი შიმშილისაგან მისუსტებული უპატრონოდ ჰკვდება... შიმშილმა და სასოწარკვეთილებამ გამოიწვია არეულობა ანკონსა, მოლლინესა, კალაბრიასა. ხალხი ჩააჩუმეს, ხოლო ბრალი ანარქისტებს დასდეს, მაგრამ არეულობა დღითი დღე ჰმატულობდა და იზრდებოდა და ამ არეულობას ძალ-მომრეობა და სახლების ცეცხლის წაკიდებაც თან ერთვოდა. ბოლოს მთელს ქვეყანას მოედო ეს არეულობა და დიდის ქალაქების მცხოვრებელნიც გაიტაცა.

იტალიის გაერთიანებიდგანვე მონაბრეის (1867 წ.) და დეპრეტის ლის სამინისტრო „ხალხას დახარკვას“ საფინანსო პოლიტიკას დაადგა თუ არა, ხალხი არეულობას ახდენდა და წინააღმდეგობას აცხადებდა. ამბოხება „მაჩერატო“ 1867—68 წლებში, არეულობა სიცილიასა და რომანიაში სამოცდა-მეათე წლებში, ლაზარისტთა არეულობა ნეაპოლსა, ლამბარდიის გლეხ-კაცობის ამბოხება 1879—1883 წლებში, ამბოხება მასსი-კარრირსა და ხელ-ახლად სიცილიასა 1892—93 წლებში, — ყველა ეს არეულობა წინამორბედი იყო იმ საშინელის სურათებისა და სისხლის ღვრისა, რომლის მოწმეც ამას წინად გახდნენ მილანი, ფლორენცია, ნეაპოლი და მრავალი სხვა ქალაქი.

მაგრამ მთავრობას ბედის წერა გაკოტრების და გაღატაკების პოლიტიკის გზას არ აცდენდა: როგორც დიდი სახელმწიფო იგი დღითი-დღე ხარჯს იმატებდა. მხოლოდ ეს პოლიტიკა უნდა დავსახოთ ამბოხების მიზეზად და არა მეტად მცირე უკიდურეს დასთა ხრიკები. მეფე ჰუმბერტოს მთავრობას წინ აეყუდა საშინელი ცხრა თავიანი დევი, რომელიც სახელმწიფოს გაკოტრებასა და გაღატაკებისაკენ მიაქანებს. მოახერხებს-კი ეს მთავრობა ამ გაჭირვებისაგან გამოსვლას, თუ იტალიასაც მერმისში ის ბედი მოელის, რა ბედიც უკვე გამოსცადა ეგვიპტემ, ოსმალეთმა, არგენტინის რესპუბლიკამ, საბერძნეთმა და მრავალმა სხვამ, ე. ი. ისიც იძულებული გახდება მიჰმართოს ვარეშე სესხსა, იმ პირობით-კი, რომ თავისის ფინანსების გამგეობა ევროპის ბანკირთა ზედამხედველობას დაუქვემდებაროს? ბევრმა ფინანსისტმა უწინასწარმეტყველა კიდეც ეს იტალიას, ხოლო ამ უკანასკნელის მეგობრები იმ აზრისანი არიან, რომ ხალხი და საზოგადოება დაიხსნის ჰარიბალდის სამშობლოს ბანკის პატრონთა სამარცხვინო მონობისაგანაო. ღმერთმა ჰქმნას!..

ვ. მარველი

---

*) ვაიტ-მარიო შთამომავლობით ინგლისელია, მეგობარი იყო ჰარიბალდისა, რომელსაც თან ახლდა ხოლმე ყოველს ბრძოლაში როგორც დაი მოწყალებისა. გათხოვდა მამულიშვილ მარიოზედ და მუდმივ იტალიაში სცხოვრობს.

*) ამ სამის სოფლის დავის შესახებ ამ დღეებში ვრცელს წერილს დავსტამბავთ ჩვენს გაზეთში. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუნძრევლად არის და მეორეს მხრივ კი სომეხი, მოვაჭრე—ჩარჩი, რომლის ხელშიაც ნელ-ნელა გადადის უზრუნველ ქართველის საცხოვრებელი, დღე მუდამ ერთმანეთის ქიშპობაში არიან.

ის საჭირ-ბოროტო ნიში, რომელსაც დღეს დუშელი სომხები დაჰპატრონებიან, სწორედ ზღაპრულ ამბად გარდაიქცა. დუშეთის გასწვრივ პატარა გორაკაზედ უძველესის დროიდგან პატარა ეკკლესია სდგას, რომელიც უყურადღებობის გამო დაინგრა, და ის მშვენიერი ჰალაც, რომელიც ეკკლესიას ერტყა, გაოხრდა. სომხებს ეს გაოხრებული ეკკლესია განუახლებიათ, თეთრად შეუღებინებიათ, დაუხურავთ და ის ჰალაც, რომელიც მიგდებული იყო, გაამშვენიერეს თურმე, ცალკე დარაჯი დაუყენეს, ოთახები გაჰმართეს შიგ და დღეს იგი მშვენიერს სასეირნო ადგილს წარმოადგენს. ქართველობა პირველად ამას არაფერს ყურადღებას არ აქცევდა, რადგანაც ეგონათ, რომ სომხებსაც გული შესტკივათ ამ წმიდა ადგილისთვინაო და ამიტომ ამშვენიერებენო. მაგრამ საქმე ისე წავიდა ბოლოს, რომ სომხობამ ქართველები აღარც-კი მიუშვა თავიანთს ეკკლესიაზედ. ქართველობამ მაშინ-კი იცნო სომხების ხრიკები და დავა დაუწყო. ამ ცოტა ხანში ქართველობამ კიდევ მისცა თხოვნა საქართველოს ექსარხოსს ამ სადაო ეკკლესიისა და ნიშის გამო. ჯერ დარწმუნებით არავინ იცის, საქმე როგორ წავა, წააგებენ ქართველები, თუ მოიგებენ.

ეს კიდევ არაფერი. ბევრი ამგვარი საარაკო ამბავი ჰხდება დუშეთის მაზრაში. ამ რამდენისამე ხნის წინად დუშეთიდგან წავიდა რამდენიმე ქართველი და სოფელ ანანურში სავაჭრო დუქნები დამართეს. რასაკვირველია, ეს ამბავი არ ესიამოვნათ ადგილობრივ მოვაჭრე სომხებს და ყოველის ღონისძიებით შეუდგნენ მათს სოფლიდგან გაძევებას. ჯერ თურმე რაღაც სასოფლო გარდასახადი შეაწერინეს და ეგონათ, ამითი შეშინებული ქართველები აიბარგებიანო. მაგრამ რომ ამას არ შეუშინდნენ ქართველი მოვაჭრეები, მაშინ სომხებმა სხვა ხრიკს მიჰმართეს, გადასწყვიტეს, რომ ყოველი საშუალება იხმარონ და მსყიდველები არ მიუშვან ქართველ-ვაჭრებთან. სომხებმა იმდენი ძალა იხმარეს, რომ ქართველ-ვაჭრების დუქნების სიახლოვეს კაცები დააყენეს, რომელნიც სთხოვდნენ და ზოგს ძალასაც ატანდგნენ, —ქართველებისგან ნუ ივაჭრებთო, აი აგერ იქით წადით სომხებთან, ისინი უფრო იაფად და პირიანად მოგყიდიანო. ქართველებმა, რასაკვირველია, ჩხუბი დაუწყეს სომხებს ასეთის უპატიოსნო საქციელის გამო, მაგრამ რომ ვერას გახდნენ თავგასულ სომხებთან, ადგილობრივს ბოქაულს მიჰმართეს საჩივრით და სთხოვეს სომხებისაგან თავის დაცვა. აი, ასე იქცევიან აქაური სომხები და არ იციან, რა ჰქნან, თუ ერთი მაინც არის აქ ქართველი-ვაჭარი გაჩნდა სადმე. ვნახოთ გამოძიება რას აღმოაჩენს.

შ. კავკაველი

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ხვარბეთის საზოგადოება**, (ოზურგეთის მაზრა). ხვარბეთის საზოგადოებას შეადგენს სამი დიდი სოფელი, სახელდობრ: ხვარბეთი, კონჭკათი და გოგორეთი და ბევრი მივარდნილი და მიყრუებული ადგილებიც. ეს საზოგადოება სივრცით დიდია, მოთავსებულია 6-7 (თითქმის) ოთხ-კუთხ ვერსის მანძილზედ. ზემოხსენებული სოფლები მდებარეობის მხრივ-კი ამ რიგადაა ჩამწკრივებული: ა) გოგორეთი, რომელშიაც არსებობს ორკლასიანი სამინისტრო სკოლა და რომელიც მეზობელ საზოგადოების საზღვარს დაშორებულია ვერს ნახევრით; ბ) ხვარბეთი და გ) კონჭკათი, ორე სოფლები ხომ სულ გადაკარგულია უგზოობისა გამო. ამ ნაირად კონჭკათი და დანარჩენი მივარდნილი ადგილები ძალიან დაშორებულია სკოლას, სადაც მისვლას საათი, ორი საათიც უნდებიან მოსწავლენი. ამის გამო დაშორებულ სოფლებიდგან შესამჩნევად ნაკლებია მოსწავლეთა რიცხვი; ასე გასინჯეთ, როგორც ამ წლის საკლასო ჟურნალიდგან სჩანს, ას ორმოცამდე მოსწავლეთა შორის კონჭკათიდგან ათამდე ბავშვი ძლივს-ღა დადის სკოლაში, მაშინ როდესაც კონჭკათში, სხენებულ სოფლებთან შედარებით მეტია მცხოვრებთა რიცხვი. ვინც დაჰკვირებია, ყველა ჰხედავს, რომ სწავლის მსურველნი ბევრნი არიან, მაგრამ რა... რა ჰქმნან.

თუმცა დიდი ხანი არაა, რაც ეს სკოლა ორ კლასიანად გადაკეთდა, შენობა მაინც იგივე არის, მეტად ვიწრო, რომელშიაც, რასაკვირველია, ბავშვები ვერ თავსდებიან, და ბევრს მათგანს არ იღებენ, უკანვაბრუნებენ თვალ-ცრემლიანს. ამავე მიზეზით ერთი მასწავლებელთაგანი იძულებულია რამდენიმე განყოფილება სოფლის სამმართველოს ოთახში ამეცადინოს. ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ტანჯვა უნდა იყოს ასეთი მეცადინეობა. ამიტომ ფრიად საჭიროა მეორე სკოლა დაარსდეს, რაიც ადვილია, რადგან სამრევლო სკოლის დაარსების ნება ადვილად ეძლევა სოფელს.

კონჭკათელი ია

# რუსეთი

—

რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ დაადგინა მომავალ შემოდგომას ფრინველების დიდი გამოფენა გაჰმართოს ქ. მოსკოვში იმის გასაგებად, თუ ამ ჟამად რა მდგომარეობაშია ფრინველის მოვლა-მოშენების საქმე მთლად რუსეთში. გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულია საზოგადოების ყველა განყოფილება. დიდად საყურადღებო იქმნება სამრეწველო განყოფილება გამოფენისა, რომელსაც გაჰმართავს საზოგადოების სავაჭრო კომისია.

— მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ბრძანება დაუგზავნა ტყეების დამცველ კომიტეტებს, რომ მსურველთ ტყის არჩევით გაჩეხვის უფლება მიეცით ხოლმე ტყის მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც გასაჩეხად არის დანიშნული ამა თუ იმ წლისათვისაო.

# უცხოეთი

—

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** გაზეთების სიტყვით, მართლდება ის ამბავი, რომ ადმირალის სერვერის ესკადრა ამ ჟამად გაჭირვებულ მდგომარეობაშია. ამერიკელებმა ისე მოამწყვდიეს სერვერი, რომ მას ნავთ-სადგურიდგან გამოსვლა აღარ შეუძლიანო. ასეთის აზრისა არიან უმეტესი ნაწილი ევროპის ჟურნალ-გაზეთებისა, ხოლო თვით ესპანელები სხვასა ჰფიქრობენ. ერთის გემის კაპიტანს, რომელიც ამ ჟამად ესპანიაშია, უთქვამს, რომ ესპანიის ესკადრას არავითარი შიში არა აქვსო. მას სანტ-იაგოს ნავთ-სადგურში მშვენიერი ადგილი უჭირავს, ნავთ-სადგურის ნაპირებზედ კარგი სიმაგრეებია აღმართული, რომლის ყუმბარებიც ყოველ წუთს მზად არიან შესაფერი პასუხი გასცენ ამერიკელებს, თუ ვინიცობაა ამ უკანასკნელთ ნავთ-სადგურში შესვლა მოიწადინეს. სერვერმა ნავთ-სადგურში ამდენ ხანს უთუოდ ზოგიერთის დაზარალებულის გემის შესაკეთებლად დაჰყო. როდესაც ამ საქმეს მორჩება, ის ან ნავთ-სადგურს სულ თავს გაანებებს და ჰავანისაკენ წავა ან არა და იქვე დარჩება და მეორე ესკადრის მოსვლას დაუცდის. პირველ შემთხვევაში სერვერს ადვილად შეუძლიან თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანოს, რადგანაც იმისი გემები გაცილებით უფრო მსწრაფლ-მოსიარულენი არიან, ვიდრე ამერიკელებისა. ხოლო თუ ნავთ-სადგურში დარჩა, როდესაც მეორე ესკადრა მოვა, თვით დაეცემა ამერიკელებსაო. ასეთ გეგმას ადგენენ ესპანელები, მაგრამ მოიყვანენ თუ არა სისრულეში ამ გეგმას, მხოლოდ ღმერთმა უწყის.

— გიბრალტარიდგან დეპეშით ატყობინებენ „New-York-Herald“-ს: ესპანელები მესამე ესკადრასაც ამზადებენ, რომელიც ცხრა სამხედრო გემისაგან უნდა იქმნას შემდგარი. მთავრობას აზრადა აქვს ეს ესკადრაც კუბისაკენ გაგზავნოსო.

— ამერიკის გაზეთები იუწყებიან, რომ შეერთებულის შტატების მთავრობა და საზოგადოება დიდი უკმაყოფილოა კუბის მეამბოხეებისა, რომელნიც თითქმის არავითარს მონაწილეობას არ იღებენ ამ ომში და ესპანელებს არ ებრძოლებიანო. სხვათა შორის ნიუ-იორკის ერთი გაზეთი „Tribune“ სწერს: „მეამბოხეებმა ომის დაწყებისას გამოგვიცხადეს, რომ გომეცის ჯარი კუბას კიდით-კიდემდე გაივლის და ესპანელებს ამოჟლეტსო, ხოლო დღეს ვერაფერს ვერა ვხედავთ. მთავრობამ ყველაფერი აუსრულა, რაც კუბელებმა მოითხოვეს, მათ იარაღიც, სურსათიც მიიღეს, მაგრამ ბრძოლას სრულიადაც არა ჰფიქრობენ“. იმავე გაზეთის სიტყვით, ამერიკაში თანდათან რწმუნდებიან, რომ კუბელებს აზრად მხოლოდ ესპანელებისა და ამერიკელების წაკიდება ჰქონდათო.

— მადრიდიდგან იუწყებიან, რომ 13 მაისს რუსეთის, საფრანგეთის და გერმანიის ელჩებს მოლაპარაკება ჰქონდათ ესპანიის მინისტრ-პრეზიდენტ საგასტასთანაო. ხმა დადის, რომ ელჩებს ლაპარაკი ომის მოსპობისა და ესპანიისა და შეერთებულის შტატების შორის ზავის ჩამოგდების შესახებ ჰქონდათო.

— გაზ. „Tribune“ სწერს, რომ შეერთებულის შტატების მთავრობამ უკვე გადასწყვიტა დაიჭიროს და შემდეგ აღარ დაუბრუნოს ესპანიას ფილიპის და პორტორიკოს კუნძულებიო. ზღვათა სამინისტრო ყოველ ღონესა ღონობს დროზედ გაისტუმროს ამ კუნძულებისაკენ საჭირო ჯარი, რადგანაც მთავრობას შიშობს, რომ თუ ეხლავე არ დაიჭირე ეს კუნძულები, შეიძლება მერე სხვა სახელმწიფონიც გაერიონ ამ საქმეშიო.

— დეპუტატმა პირსმა, შტატის მისსურის წარმომადგენელმა, წარუდგინა ამერიკის პალატას კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ აგებულ იქმნას 45 ახალი სამხედრო გემი.

**ინგლისი.** გლადსტონის გვამის განსვენებას ჰავარდენიდგან აუარებელი ხალხი დაესწრო. მრავალი ძალიან შორიდგან მოსულიყო, რომ უკანასკნელად გამოსთხოვებოდა დიდებულის მოხუცის გვამს. ლონდონში კუბო იმ დარბაზში დაასვენეს, სადაც წინად ინგლისის მეფეები გვირგვინს იკურთხებდნენ ხოლმე. განსვენებულის სურვილისამებრ იმის კუბოს არც ერთი გვირგვინი და ყვავილი არ ამშვენებდა. დარბაზი დილით სადამომდე ხალხით იყო სავსე, რიგი შედიოდა და რიგი კიდევ გამოდიოდა. ყველა ეშურებოდა უკანასკნელი პატივი ეცა გლადსტონის გვამისათვის. ბევრი დარბაზიდგან ცრემლ-მორეული გამოდიოდა. ამ ხალხში ყველა წოდების და ხარისხის კაცს დაინახავდით, მოხუცი და ახალგაზდა, მდიდარი და ღარიბი, კონსერვატორი და ლიბერალი, ყველა მოწიწებით შედიოდა დარბაზში და მუხლ-მოდრეკით პატივსა სცემდა დიდებულის კაცის უძრავ გვამს.

გაზეთები იუწყებიან, რომ პარლამენტს ისეთი პატივი, როგორც გლადსტონის გვამსა სცა, წინად არც ერთი კაცის გვამისათვის არ უცია. გლადსტონის გარდა მხოლოდ ორი კაცის გვამი იქმნა დასაფლავებული სახელმწიფო ხარჯით, სახელდობრ ჩატამისა და უმცროსის პიტისა. მათ დასაფლავებასაც პარლამენტის ყველა წევრი არ დასწრებია. მხატვარს როდმონს, რომელსაც განსვენებულის სურათი გადაუღია, უთქვამს: „დიდებულის მოხუცის გვამი ასვენია სრულიად უბრალო და არაფრით არ მორთულ და მოკაზმულ კუბოში. იმისი ღირსებით და სათნოებით სავსე სახე ნება უნებურად აგონებს კაცს ჰომეროსის გმირის სახეს. ამ სახეს არავითარი ტანჯვა და მწუხარების ნიშანი არ ატყვია, პირ-იქით მასში კაცი რაღაც ზეციურ სიხარულს აღმოიკითხავს. მე ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ისეთი დიადი და მშვენიერი რამ, როგორიც იყო ამ თავისუფლებისათვის მებრძოლის სიცოცხლეს მოკლებული სახე“.

## წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

7 მაისი

ის ამბები, რომ ისპანია დღითი დღე სულ უარესსა და უარესს მდგომარეობაში ვარდება, რასაც, ევროპიის გაზეთების გარდა სხვა-და-სხვა სადეპეშო დაწესებულებანიც იუწყებიან, შიშის ზარს სცემს დღევანდელ ოსმალთა სადიპლომატიო წრეს. თუმცა მრავალ-წამებული ხალხი ოსმალეთისა ჯერ კიდევ ფართო სახელმწიფოსი, გაიძახის, რომ „რაგვეამა, ვინც უნდა აიღოს ჩვენი ადგილებიო“, მაგრამ ამისი მთქმელი უმცირესობაა. უმეტესი ნაწილი-კი, როგორც მართლ-მორწმუნე ფანატიკოსნი, ბურჟუა-დიპლომატებითურთ შიშით „ვინ იცის რა იქნებაო“-ს ამბობენ და დიდად აღელვებულნი არიან. რაც შეეხება ოსმალთა ახალთაობას, ეგრედ წოდებულ „ნეო-თურქთა“, ანუ, როგორც თათრები ეძახიან „ოსმალეთის ანარხისტებს“, თავისუფლად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ „ისინი აღარ არიან.“ უმეტესი ნაწილი, თუ სულ არა, ამ ვითომ-და სოციალისტებისა ეხლა ჯაშუშებად არიან; ასე რომ იმათის სულთანთან შერიგების მეოხებით, რომლის მიზეზიც გახდა ახმედ ფაშა, მუხად ბეგი და ახმედ ბეგი (სულ კავკასიელები არიან), დღეს ერთი-ათად იმატა ჯაშუშთა რიცხვმა. წინად მთელს ოსმალეთში სულ ხუთი ათასი ჯაშუში ითვლებოდა. დღეს-კი, მარტო კონსტანტინეპოლში, 35 ათასი ჯაშუში არის. ეს გარემოება მით უფრო საკვირველია, რომ, ამ ორის წლის წინად სტამბოლში 35 ათასი „ნეო თურქი“ იყო და დღეს-კი სწორედ ამდენი ჯაშუშია. ბარაქალა პროგრესს!..

კინაღამ დამავიწყდა, ამ რამდენისამე დღის წინად აქ დაარსეს წუმწუმასი და საპნის პაწაწინა ქარხანა. სხვა ქარხნების დაარსებასაც აგერ ოცი წელიწადი იქნება, რაც ჰფიქრობენ. „ღმერთმა უშველოს ევროპიელებს, თორემ ჩვენ ამდენს ხანს, ან ტალახში ჩავიხრჩობოდით და ან სიმშილით მოვკვდებოდით. წარმოიდგინეთ, ჯერ კიდევ იმდენად თავისებურად ვეკიდებით ჩვენს საქმეებს, რომ ვიდრე რომელიმე საელჩო არ გვიბრძანებს, ქუჩებს არ ვასწორებთო“, სთქვა ერთხელ ერთმა შინაგან სამინისტროში მოსამსახურე საპატიო კაცმა.

დღესაც კიდევ, აი რას შემომეკითხა ერთი თვალ-საჩინო კაცი, რომელიც ეგვიპტეში მიემგზავრებოდა.

— რა ამბებია ახალი თქვენს ჟურნალ-გაზეთებში?..

— თითქმის არაფერი. ან კი რა უნდა იყოს გაზეთებში, როდესაც ზოგიერთის საგნის შესახებ რუსულ გაზეთებში უკვე დაბეჭდილის წერილის გადმობეჭდვაც არ შეგვიძლიან. ახალი-კი თვით რუსულ ვეებერთელა ზეწრის ოდენა გაზეთებშიაც თითქმის არა იწერება რა ისეთი მაინც, რაც ჩვენთვის, საზღვარ გარეთლებისთვის, საინტერესო იყოს-მეთქი, მივუგე.

— მაინც რა გესმით: ისპანია ამერიკელთა ომის შესახებ, ან რა თვალით უყურებთ ამერიკის საქციელს?..

— როგორ-და ისე, როგორც თქვენსა და ბერძნების კინკლაობას ვუყურებდით. ამერიკაც დაამტვრევს ცხვირ-პირს ისპანიას, როგორც თქვენ უყავით ბერძნებს. მეტი არაფერი.

— ამის მეტს არას ჰხედავთ თქვენ აქა?..

— ჯერ არაფერს და მერე რაც იქნება, ვნახავთ.

— ეჰ, რომ მარტო ასე იყოს, მაშინ ხომ სალაპარაკოდაც არ ეღირებოდა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ასე როდია, აქ, სწორედ ამ საქმეში აშკარავდება ავტორი ევროპის კონცერტისა. დღევანდლამდის რიგიანად მისი წარმოდგენა შეუძლებელი იყო. თითქმის არავინ იცოდა,—სად არის დასაწყისი და სად დასასრული, ამ საიდუმლო

კონცერტის ავტორიც ისე ფსევდონიმიანი იყო, რომ ხან ერთს გენიოსს მოგვაგონებდა და ხან მეორეს. ყოველ შემთხვევაში ამ კონცერტის უბედური გმირი ჩვენ ვიყავით და აი, რათა. დღევანდელი კონცერტი შესაძლებელია სრულიად სხვა მიმართულებისა და სხვის შესახებ მომხდარიყო, ჩვენ რომ დროზედ გამოგვეხილა თვალი. თვით ჩვენი და რუსეთის ომიც-კი საჭირო არ იქმნებოდა და ჩვენც ასე არ გავლატაკდებოდით. მაგრამ ეხლა ის აღარ არის საინტერესო, რადგან ცხადზედ ცხადია, მაშინ რომ ჩვენ რუსეთის რჩევა დაგვეჯერებინა და ბოლგარია განგვეთავისუფლებინა, დიდად მოვიგებდით, მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩვენი სიბრიყვე, მაშინ მე თითონ ომის მომხრე ვიყავი. ეხლა-კი გეტყვი დღევანდელს. რა-კი ჩვენ ერთხელვე ავიღეთ ხელი ევროპიელებისაგან, რომლებმაც ცხადად გვიღალატეს და თითქმის ძალით დააძლევინეს რუსეთს ოსმალეთი, და როცა, რაც რუსეთმა წაგვართვა, ერთი იმდენი სრულიად უომროდ გამოგვაცალეს ხელიდგან: ინგლისმა—კიპრი და ავსტრიამ—ბოსნა, ჰერცეგოვინა, ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ ან რუსეთს უნდა შევთანხმებოდით და ან ევროპას. ჩვენ-კი ვერც ერთი მოვახერხეთ და ვერც მეორე. ამ რვა წლის წინად აქ მოვიდა ინგლისის ადმირალი და შემდეგი წინადადება მოგვცა: ინგლისის მთავრობაო, ამბობდა იგი, მოგცემთ სრულიად უსასყიდლოდ 50 ჯავშნიან გემს, 100 სამხედრო ხომალდს და რამდენსამე ათს ნაღმის მატარებელს გემს, ჰკისრულობს არჩინოს ოსმალეთის ერთ ნახევარი მილიონი ჯარი—ჩააცვას დაჰხუროს და ჯამაგირები აძლიოსო. ყველა იმის სანაცვლოდ ინგლისი თხოულობდა შემდეგს პირობას: უჩემოდ, ესე-იგი ჩემდა დაუკითხავად, ომი არავის გამოუცხადოთ, და თუ გამოუცხადეთ, ყოველივე ხარჯი უნდა მიზღოთო. თუ ინგლისს ვისმესთან ომი მოუხდა (აქ რუსეთი უნდა ვიგულისხმოთ), ნახევარი ოსმალეთის მილიონ ნახევარ ჯარისა უნდა თავისისავე ხარჯით თავისდა სასარგებლოდ მოიხმაროსო. ამ ნაირადო, — ამბობდა ადმირალი, თქვენ გახდებით დიდი და მძლავრი სამეფო, ყოველის გზით უზრუნველ-ყოფილი და შეგეძლებათ ყველა საჭირო ცვლილებანი შემოიღოთ და თქვენი საქმეები სამუდამოდ გაასწოროთო. ძნელია, ჩემო დოსტო, როცა ერთს კაცს ტყუილში დაიჭერენ, მერე მართალსაც არ დაუჯერებენ. ჩვენ ინგლისის წინადადება თუმცა მოგვეწონა, მაგრამ რაკი ვიცოდით, მუდამ მატყუარააო, ველარ გავბედეთ და ვუარი ვუთხარით. აქედან იწყება დღევანდელის კონცერტის სათავე და დასაბამი. რაკი დარწმუნდა ინგლისი, რომ ჩვენ არ ვურიგდებოდით, იბრუნა პირი. ამასთანავე გადასწყვიტა კიდეც ჩვენი დაღუპვა. აგვიჯანყა დრუზები, არაბები, სომხები და მოახდინა ჩვენ და ბერძენთა შუა ომი. ერთის სიტყვით, იმდენი ჰქმნა, რომ დაგვასუსტა და ქვეყნის სასაცილოდაც გაგვხადა. და აი, ეხლა, მიაღწია კიდეც თავისს დიდის ხნის სურვილს. მოამზადა თავდა-პირველად იაპონია, რომელსაც ჩინეთთან ომიც მოაგებინა, შემდეგ იმდენი ჰქმნა, რომ რუსეთ-გერმანია-საფრანგეთის საქმეში გარევით იაპონია, რომელმაც ამ სამეფოების მეოხებით ვერა ისარგებლა რა, სრულიად მიიმხრო თავისკენ. ეხლა კიდევ მოურიგდა უზარმაზარს ამერიკას და მოდის საშიშარის ნაბიჯით ჩვენსკენ. ეხლა თუ ის ხმები, რომ ინგლისს-ამერიკასა და იაპონიას კავშირი შეუკრავთ, გამართლდა, ეს გარემოება გაჯავრებულს იაპონიას შეატაკებს რუსეთს და ჩვენ-კი შუაში გავიჭყლიტებით. აი, ეს გახლავს ახალი ამბავი, ჩემო დოსტო. ეს რომ ცხადია, ამას კიდევ ისიც ამტკიცებს, რომ ამერიკა იმდენს საომარ გემებს იძენს და იმდენ ჯარს ამზადებს, რომ ისპანიისთვის ნახევარიც არ არის საჭირო. იცოდეთ, რომ წარმოდგენა იმ საშინელი კონცერტისა, რომელმაც საზარელი სისხლის ღვარი უნდა დააყენოს, უკვე დაწყებულია. თუ ეხლავე არ დაფაცურდნენ დანარჩენნი სახელმწიფონი და დროზედ არ შეაყენეს ამერიკის მოძრაობა, შესაზარელი და ჯერ კიდევ ისტორიისთვის უცხო დრამა დატრიალდება ევროპასა და აზიას შუა (იგულისხმეთ კონსტანტინეპოლი). ასე დაასრულა მოხუცმა დიპლომატმა თავისი მოსაზრებანი და ეხლა-კი ვნახოთ, რა იქნება.

აქ საზოგადოდ ჩვეულებრივი სიჩუმეა, თუმცა მაკედონიაში და ბევრგან სხვაგანაც ისე არის არეული საქმეები, როგორც დომხალი. სომხების არეულობის ხანაც დგება, როგორც ეტყობა. ეს იქიდგანა სჩანს, რომ აგერ თხუთმეტი დღე იქნება, რაც არავის სომხთაგანს, რომლებიც დალალებად იყვნენ, გემებზედ საქონელი შეჰქონ-გამოჰქონდათ, გემებზედ აღარ უშვებენ. ტაროსი ჯერ კიდევ საგრძნობლად ცივია კონსტანტინეპოლში.

აქაურმა ქართველობამ დეპეშა გავუგზავნეთ ბ-ნს ს. თოფურიას ჩვენის პოეტის აკაკის შესახებ და ძალიან გავიხარეთ, როდესაც პასუხად მივიღეთ „Akaki tres bien“.

იასე რაჭველი

## დამაკვირდი

აღამაღლებს სიმდაბლე მომგებელთა თვისთა: ადიდებს აქაცა და უფროსად საუკუნესა.

გ. მ. ცხ. აღმწერელი

* * *

ქორმან ღადარმან შეჭამა ყვავი, მზრდელი თვისი.

ვახტანგ გორგასლანი

* * *

ნათლითა მით პირისა შენისათა ვიხილეთ ჩვენ ნათელი.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ჯერ ისევ 1895 წელს ამერიკის შეერთებულ შტატების სენატმა გადასწყვიტა მიეცეს 100,000 დოლლარი (200,000 მანათი) იმას, ვინც გამოიგონებს ისეთს მანქანას, რომელიც სრულიად უშიშრად ივლის ჰაერში და ერთს საათში გაივლის 45 ვერსის მანძილს, ხოლო იმ პირობით-კი, რომ ასეთი მანქანა უნდა გამოგონებულ იქმნას 1900 წლის დამლევამდე. აქამდე ბევრი მანქანა გაუკეთებიათ, როგორც მეცნიერებსა და ინჟინერებს, ისე სხვათ, მაგრამ ეს დიდი ჯილდო-კი არავისა ჰრგებია.

ჟურნალი „English Mechanic“ სწერს, რომ ინგლისელმა დევისმა უკვე გამოიგონა ჰაერში საფრენი მანქანაო. ეს მანქანა კეთდება კიდეც.

ვინ იცის, შეიძლება, დღე-დღეზედ უკვე გააკეთდეს ჰაერში საფრენი გემები. ადამიანმა დაიპყრო ხმელეთი და ზღვები და ეხლა მხოლოდ ჰაერის დაპყრობა-ღა აკლია. მაგრამ, ერთი ეს ვიკითხოთ: ჰაერის დაპყრობით ადამიანი უფრო ბედნიერი შეიქმნება თუ არა? არა მგონია. კაცს ეს გამარჯვება არ ეყოფა. მას მოძმეს ხისხლი სწყურიან. როდესაც გემები ჰაერში დაიწყებენ ფრენას, მაშინ იქაც ასტყდება ისეთივე ომი და სისხლის ღვრა, როგორიც ეხლა ხმელეთზე და ზღვაზეა. გაჩნდება ჰაერში საფრენი ჯავშნიანი და ნაღმიანი გემები. მშვენიერს ცის სივრცეში გაისმის მომაკვდავ ადამიანთა გმინვა და კვნესა და ზეციდგან დედამიწაზე გადმოსკდება სისხლი უბედურისა და უგუნურის ადამიანისა. თვით ზეცა შეწუხდება ხალხის უსამართლობით, ბოროტი ადამიანი-კი თავისას არ დაიშლის.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 მაისი

**პეტერბურგი** 20 მაისს, ცარსკოე სელოში მათ უდიდებულესობასთან სადილი იქმნა გამართული ბუხარის ემირის პატივსაცემად. დაესწრნენ დიდნი მთავარნი, დიდნი მთავრინანი, სეფე-ქალნი, სახელმწიფო საბჭოს წევრები, მინისტრები, სასახლის პირველი მოხელენი, ხელმწიფის ამალის წევრნი და ბუხარის ემირის ამალა.

**ნიუ-იორკი.** კვირას შუაღამისას ორი ნაღმიანი გემი სანტ-იაგოდგან გამოვიდა და ამერიკის გემების დაღუპვას სცდილობდა. ამ გემებმა ნაპირთან უკვე ორი მილი გაიარეს, როდესაც გემის „Texas“-ის აფიცრებმა დურბინდის შემწეობით დაინახეს. როდესაც ელექტრონის სხივები მიაფინეს ამ გემებს, ისინი გაჩქარებულნი გამოექანნენ „Texas“-ისაკენ, რომელმაც იმ წამსვე ისეთი ყუმბარები დაუშინა, რომ ესპანელნი იძულებულნი გახდნენ დამალულიყვნენ. ესპანელებს არ უსროლიათ, თუმცა „Texas“-ს ძალიან მიუახლოვდნენ.

**კი-ვესტი.** აქ დაბრუნდა ხომალდი „Florida“, რომელმაც მოახერხა კუბაში 400 კუბელის გადასხმა. ეს კუბელები, გენერალის ლაკვეტის უფროსობით ტამპიდგან გაჰგზავნეს. მათ თან მრავალი თოფი და სასროლი მასალა გაატანეს.

**ვაშინგტონი.** ზღვათა სამინისტროს პორტ-ო-პრენსიდგან არ მიუღია არც ერთი დეპეშა, რომელიც ამოწმებდეს, რომ სანტ-იაგოსთან ბრძოლა მოხდაო.

**მადრიდი.** ზღვათა მინისტრმა მიიღო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ამერიკის ესკადრა დამარცხებულ იქმნა სანტ-იაგო-დე-კუბასთანაო. ესპანიის სიმაგრეებმა და სერვერის ესკადრამ უკუ-აქცია მოწინააღმდეგის გემები, რომელნიც დაზარალებულნი დაბრუნდნენ. ესპანიის ესკადრას ზარალი არ მოსვლია.

**ლონდონი.** პორტ ო-პრენსიდგან მოსული დეპეშა ჰმოწმობს, რომ გუშინ სანტ-იაგოსთან ბრძოლა მოხდაო. ამერიკელებს 14 გემი ჰყავდათ, ნაშუადღევის 2 საათზედ მრავალ ნაღმიან გემებიდგან ყუმბარები დაუშინეს სანაპირო სიმაგრეებს მოროსა, ლაზეკაპსა და პუნტაგანდსა, რომელნიც შესამჩნევად დაზარალდნენ. 4 საათზედ სროლა ცოტა შესუსტდა, მაგრამ რამდენისამე ხანს ზღვიდგან სროლის ხმა კიდევ ისმოდა, შემდეგ-კი სრულიად ჩაჩუმდა.

**რომი.** კაბინეტი საბოლოოდ ამ ახლო მომავალში შესდგება. როგორც გაზეთები იუწყებიან, მინისტრებად იქმნებიან: რუდინი—პრეზიდენტად და შინაგან საქმეთა მინისტრად, კალელლი—გარეშე საქმეთად, გენერალი სან-მარცანო—სამხედრო მინისტრად, ბონაჩჩი—სჯულის საქმეთა, გენერალი დე-რივერა—საზოგადო სამუშაოთა, ლუცცატი—ხაზინისა, ბრანკა—ფინანსთა, კანევარო—ზღვათა, სენატორი კრემონა—საერო განათლებისა, პროლა—ფოსტათა და ტელეგრაფთა და სენატორი სერენა, ან დეპუტატი პინკია—მიწათ-მოქმედების მინისტრად.

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მე-95 №-ში გურიის ამხანაგობის „შუამავლის“ ყოფილი სარევიზიო კომისიის ზოგიერთი წევრები სწერენ შემდეგს: „ბ-ნმა კ. თავართქილაძემ, გურიის ამხანაგობის „შუამავლის“ ყოფილმა გამგემ, 1 მარტს, კრებაზედ, სამედიატორო სამართალი მოსთხოვა სარევიზიო კომისიას, რომლის განაჩენი მის მიერ საქმეთა წარმოების შესახებ უმართლოდ მოეჩვენა და სარევიზიო კომისიაც სამართალში მიჰყვა და ორივე მხარემ ორის თვის ვადა დანიშნეს უთანხმოების გასასწორებლად. ორი თვეც თავდება და გვაცნობოს ბ-ნმა კ. თავართქილაძემ, როდის მობრძანდება ქ. ოზურგეთში მის მიერ დანიშნულის კაცებითო“ და სხვ.

მაქვს პატივი მოვახსენო ხსენებულ სარევიზიო კომისიის წევრებს შემდეგი: სარევიზიო წევრების მოხსენების პასუხად 1 მარტს წარმომადგენელთა კრებას წარვუდგინე პასუხი და მასთან ერთად ყოველივე წერილობითი საბუთები და ვთხოვე უკეთუ ეხლავე არ ინებებთ ამ საბუთების განხილვას, იმ შემთხვევაში ორი-სამი კაცი ამოვარჩიოთ და მივანდოთ ამ საქმის განხილვა ჩემ მიერ წარმოდგენილ პასუხთან ერთად, ხოლო იმათ თავიანთი განაჩენი ერთს რომელსამე გაზეთში გამოაცხადონ-მეთქი. კრებამ ჩემი თხოვნა შეიწყნარა და სარევიზიო წევრებსაც და მეც ორ-ორის კაცის ამორჩევა დაგვავალა. მე დავასახელე ბ-ნნი გ. ი. ვოლსკი და ნ. წერეთელი. (მმართველი ერთის ამგვარის ამხანაგობისა), სარევიზიო წევრებმაც ბ-ნნი ივ. ქეიშვილი და კარლ ჩხეიძე დაასახელეს. რაც შეეხება თავმჯდომარის არჩევას, დროსა და ადგილის დანიშვნას, ეს სრულს ამათ უფლებას შეადგენს. აგრეთვე სამართალი და ჭეშმარიტებაც ორის თვის ვადით არ უნდა იზღუდებოდეს მგონია... ამასთან ისიც უნდა შევნიშნო, რომ როგორც ზემოდ მოგახსენეთ, მედიატორული სამართალი მე მოვითხოვე, რადგან უდანაშაულოდ დასჯილად მიმაჩნდა ჩემი თავი და მე თითონ ვჩქარობდი, მაგრამ თუ ამდენს ხანს არ გათავდა, ამას თავისი საპატიო მიზეზები აქვს: ბ-ნს ნ. წერეთელს ამ ორს თვეში ამხანაგობის საქმე ბევრი აქვს, რადგან აბრეშუმის პარკის ყიდვის დრო მხოლოდ ახლა არის და, მეორეც, თ. ნიკო თავდგირიძე, ურომლისოდაც არ შეიძლება ამ საქმის გათავება, ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება. თ. ნიკო თავდგირიძეა მხოლოდ ამ საქმეში თავიდგან ბოლომდე ყოველ-თვის მცოდნე და მოწმე და, მაშასადამე, მისი დასწრებაც საჭიროა. აი, ამ საპატიო მიზეზთა გამო შეჩერდა ცოტა ხნით ამ საქმის დაბოლოვება. გათავდება თუ არა პარკის ყიდვა ამ ერთ თვეში და მობრძანდება თუ არა, თ. ნ. თავდგირიძე, ამ საქმეს მაშინვე შეუდგებიან და გაათავებენ კიდეც. ამას ყოველთვის მოვესწრობით და თუ დაიშლება, თქვენ არ გეწყინებათ, მხოლოდ ნაკისრ საქმის შესრულებას და ამხანაგობის წარმატებას ვეცადოთ, საქმე ის არის.

კ. თავართქილაძე

ბათუმი.


# განცხადებანი

მითი ვაცხადებ ქუთაისის გუბერნიისა შორაპნის მაზრის სოფ. საქარის იმ

მევენახეთა

**საყურადღებოდ,**

რომელთაც სოფ. საქარის მამასახლისის მოწმობით მომანდეს შაბიამანის გამოწერა და ბათუმის საბაჟოდგან მიღება, რომ **შაბიამანი უკვე მივიღე** და შეუძლიანთ **დაკლებულ ფასად** იყიდონ ზესტაფონის (ყვირილის) ვაჭრის იორდანე ლევანის ძე ცერცვაძის მაღაზიიდგან, რადგან მას მივანდე ზესტაფონში შაბიამანის გაყიდვა.

ქუთაისის ვაჭარი სტეფანე პავლეს ძე ფეიქრიშვილი

(3—6.—3)

ТОВАРИЩЕСТВО
Брокаръ и К°.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ГЛИЦЕРИНОВОЙ
ПУДРЫ.
СРЕДСТВО
ДЛЯ СМЯГЧЕНІЯ КОЖИ, РУКЪ И ЛИЦА.



Коробка съ пуховк. 80 к. — Коробка безъ пуховки 50 к.

(11—მ11)

„წერა-კითხვის საზოგადოებსი“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:
აქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია | „ | 20 |
| მოლიპულ გზაზე, მოთხრობა | 1 | „ |
| მთიულეთი ალ. ფრონელისა | „ | 70 |
| მოსავლის მცველნი გოგებაშვილისა | „ | 20 |
| ბიროემანსი. კარგარეთელისა | 1 | „ |
| ყვავილთა შორის საყმაწვილო წიგნი სურათებით, მშვენიერის ყდით | 1 | „ |
| ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით და მშვენიერის ყდით | 1 | „ |
| სურათი მეფე ერეკლესი ყმაწვილობის დროს | „ | 25 |
| ანბაზე საკერი ანბანი | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები | „ | 30 |


Дозволено цензурою, Тифлисъ 22-го Мая 1898 г.

სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.